

899.962.1(092)

3-594 ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის საზელმწიფო  
უნივერსიტეტი

ხელნაწერის უფლებით

სათურა გოგია

აგიოგრაფიული ტრადიციები და  
სამემკელოს ძრისტიანული რეალიები

10.01.01 – ქართული ლიტერატურა

ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატის  
სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილი  
დისერტაციის

ავტორეფერატი

თბილისი  
2005

ნაშრომი შესრულებულია ივანე ჯავახიშვილის სახელობის  
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქართული ქრისტიანული  
კულტურისა და სიტყვიერების ისტორიის კათედრაზე

სამეცნიერო ხელმძღვანელები: რევაზ სირაძე

ფილოლოგის მეცნიერებათა  
დოქტორი, პროფესორი

ტიტე მოსია

ფილოლოგის მეცნიერებათა  
დოქტორი, პროფესორი

ოფიციალური ოპონენტები:

ზურაბ კიკნაძე

ფილოლოგის მეცნიერებათა  
დოქტორი, პროფესორი (10.01.09)

ასმათ ჯიქია

ფილოლოგის მეცნიერებათა  
კანდიდატი (10.01.01)

დისერტაციის დაცვა შედგება 2005 წლის „10“ „მუნის“  
00 საათზე ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის უნივერსიტეტის  
ფილოლოგის დარგის (P 10.10.№4) სადისერტაციო საბჭოს  
სხდომაზე

მისამართი: 0128, თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზირი, №1.

დისერტაციის გაცნობა შესაძლებელია თსუ სამეცნიერო  
ბიბლიოთეკაში

მისამართი: 0143 თბილისი, უნივერსიტეტის ქ. №2.

ავტორეფერატი გაიგზავნა 2005 წელს „5“ „მუს“

სადისერტაციო საბჭოს სწავლული მდივანი,  
ფილოლოგის მეცნიერებათა დოქტორი,  
პროფესორი

რ. ჭავჭავაძე /ნ. ჭაბიძე/

ნაშრომის ზოგადი დახასიათება

თემის აქტუალობა. ქართული კულტურა თავისი განვითარების  
არაალითა და ტიპოლოგიით მიეკუთვნება აღმოსავლურ-ქრისტიანულ-  
კულტურულ-ისტორიულ რეგიონს. მართლმადიდებლური ქრისტიანო-  
ბა განსაზღვრავდა ჩვენი ერის რელიგიურ-ფილოსოფიურ შეხედულე-  
ბებს, სამართლებრივ სისტემას, მორალურ-ზნეობრივ კოდექსებსა თუ  
ეთიკურსა და ესთეტიკურ იდეალებს. ის იყო ბიძის მიმცემი ეროვ-  
ნული ფასეულობების ჩამოყალიბებისა და მარადგანახლებისათვის.  
გარდა ამისა, იღიას სიტყვებით თუ ვიტყვით, იგი იყო პოლიტიკური  
„ქვითერიც“ მის ცალკეულ კუთხეთა და ნაწილთა შემოსამტკიცებ-  
ლად და გასაურთიანებლად, ანუ ის იყო ეროვნული კონსოლიდაციისა  
და ეთნიკური ერთობის შენარჩუნების მთავარი ფაქტორი.

ნაშრომში არის ცდები ქართული ქრისტიანული კულტურის  
ზოგიერთი საკითხის გააზრებისა, რომელიც აქტუალობას არაა მოქ-  
ლებული დღეს, რადგან იგი ერისა და პიროვნების თვითშემცემებას-  
თან იგივება.

კვლევის ჟაგანი და მიზანი. კვლევის საგანია სამეცნიერო, რო-  
გორც ერთ-ერთი უძველესი ისტორიის მქონე და ქრისტიანულ კულ-  
ტურას ნაზიარები რეგიონი ზოგადქართულ სივრცეში, რომელსაც  
აქვს გარევეული თავისთავადობა და საქუთარი არასამწერლობო ენა.  
კვლევის მიზანია, ამ ქუთხის ხალხური ტრადიციების, როტუალების,  
სასულიერო შინაარსით აღმგებდილი ტერმინების, ფრაზების, ფოლ-  
კლორული ნიმუშებისა და სხვა რეალიების გამოვლენა, ანალიზი და  
სათანადოდ დაჯგუფება. საკითხის შესწავლამ მოითხოვა ინტერდის-  
ციპლინარული კვლევა. ნაშრომში თავმოყრილი მასლა შეგროვილია  
სხვადასხვა ტიპის წყაროებიდან. ესენია: I. მეგრულ-ქართული ლექ-  
სიკონები – დღეისათვის არ არსებობს მეგრული ენის სრულყოფილი  
მეცნიერული ლექსიკონი, მაგრამ გამოქვეყნებულია ცალკეული საინ-  
ტერესო მასალა; II. მეგრული ფოლკლორი; III. სამეცნიეროს ეთნოგ-  
რაფია და აღწერილობები. გათვალისწინებულია როგორც ქართველ  
მეცნიერთა ისტორიულ-ეთნოგრაფიული მონაცემები, ასევე უცხოელ  
მოგზაურთა ცნობებიც; IV. სამეცნიეროს ტოპონიმიგა; აქ კარგად ჩანს  
ქრისტიანული დრო-სივრცული გააზრებანი. ძირითადად ამ მასალამ  
გამოავლინა და ცხადყო მდიდარი ქრისტიანული ტრადიციებისა და  
მსოფლმხედველობის არსებობა სამეცნიეროში.

კვლევის საგანს არ წარმოადგენს მატერიალური კულტურის  
ძეგლები, რითაც ასე მდიდარია სამეცნიერო: ტაძრები, საეკლესიო